

2020 წელს პანდემიის ფარგლებში საქართველოში გავრცელებული
რუსული პროპაგანდა



ვლადიმერ ჯიქია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კინწურაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებების
(მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება) მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წადგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვლადიმერ ჯიქია

29.01.2021

სარჩევი

ანოტაცია.....4

განმარტება.....5

შესავალი

კოვიდ-19.....6

კვლევის

აქტუალობა.....6

კვლევის

მიზანი.....7

კვლევის

კითხვები.....7

ჰიპოთეზა.....

8

ლიტერატურის

მიმოხილვა.....8

კვლევის

დიზაინი.....17

ძირითადი ნაწილი

ლუგარის ლაბორატორია.....18

ცრუ

პანდემია.....20

ხელოვნურად შექმნილი

პანდემია.....22

ყალბი პრევენციის

ზომები.....24

ვაქცინა და	
ვაქცინაცია.....	25
პროპაგანდა პირბადეების წინააღმდეგ.....	27
პროპაგანდა PCR ტესტების	
წინააღმდეგ.....	29
პროპაგანდა ქართული ჯანდაცვის სისტემის	
წინააღმდეგ.....	31
5G და პანდემია.....	32
ბილ გეიტსი და	
მიკროციპები.....	34
შეჯამება.....	3
7	
ბიბლიოგრაფია.....	39

ანოტაცია

პანდემიამ თითოეული ჩვენგანის დღისწესრიგი მნიშვნელოვნად შეცვალა. თუმცა მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ვირუსის გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ ჯანმრთელობის საფრთხითა და ეკონომიკური ზიანით. მსგავს გარემოში ადამიანი უფრო მარტივად ხდება პროპაგანდის ზეგავლენის მსხვერპლი. შერჩეული საკითხის გამოკვლევას აქტუალუს ხდის სწორედ ის საფრთხე, რომელიც ჩრდილოელი მეზობლის ინფორმაციული გავლენის აქტივობებიდან მოდის. კვლევა მიზნად ისახავს 2020 წელს საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებული რუსული პროპაგანდის გაანალიზებასა და შესწავლას. შემდგომ კი მის შედარებას ევროპის ქვეყნებსა და ა.შ.შ-ებში გავრცელებულ პროპაგანდასთან. თვისობრივი კვლევის კონტენტ ანალიზის ფარგლებში განხილული იქნება ჩემ მიერ შერჩეული 10 ნარატივი: ლუგარის ლაბორატორია, ცრუ პანდემია, ხელოვნურად შექმნილი პანდემია, ყალბი პრევენციის ზომები, ვაქცინა და ვაქცინაცია, პროპაგანდა PCR ტესტებს წინააღმდეგ, პროპაგანდა პირბადეების წინააღმდეგ, პროპაგანდა ქართული ჯანდაცვის სისტემის

წინააღმდეგ, 5G და პანდემია და ბილ გეიტსი და მიკროციპები. თითოეული ნარატივი იქნება გაანალიზებული და შესწავლილი შემდეგი კრიტერიუმებით: პროპაგანდის ფორმა, რომლითაც რუსეთი ავრცელებს ზემოაღნიშნულ გზავნილებს. აუდიტორიის შერჩევის სტრატეგიები და გზავნილის გავლენა უკვე არსებულ ნარატივებზე. და ბოლოს, განხილული იქნება ის ტექნიკები, რომელსაც რუსეთის მხარი იყენებს კონსპირაციის თეორიებისა და დეზინფორმაციის გასავრცელებად. ნაშრომის ფარგლებში განზოგადების დახმარებით ვეცდები დავადგინო კონზომიერება და დავხაზო შაბლონი, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაცია ავრცელებს მისთვის სასურვე გზავნილებს საქართველოში, ასევე შევაფასო, თუ რამდენად ემთხვევა მისი მიდგომა, ევროპულ ქვეყნებსა და ა.შ.შ-ებში პროპაგანდის გავრცელების მიდგომას.

განმარტება

პროპაგანდა - პროპაგანდისტის სასურველი განზრახვის მისაღწევად აღქმის განსაზღვრის, კოგნიციის მანიპულაციისა და ქცევის მიმართულების მითითების გამიზნული, სისტემატური მცდელობა.

ინფორმაციული გავლენის აქტივობები (იგივე კოგნიტური გავლენის აქტივობები) - უცხო ძალების მიერ წარმოებული ქმედება, რომელიც ემსახურება სამიზნე ჯგუფის აღქმის, ქცევისა და გადაწყვეტილების უცხო ძალის ინტერესებში გავლენის მოხდენას.

ინფორმაციული კამპანია - უცხო ძალის მიერ კოორდინირებულ მრავალ ინფორმაციული გავლენის აქტივობას (იგივე ოპერაციას), რომელიც ემსახურება საერთო, პროპაგანდისტისთვის სასურველი ნარატივის გავრცელებას.

დასავლური სამყარო - ევროპის ქვეყნები და ა.შ.შ.